



უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის კიდევ ერთმა სამრევლომ წართმეულის სანაცვლოდ ახალი ტაძარი შეიძინა



4 სექტემბერს ვოლინისა და ლუცკის მთავარეპისკოპოსმა ნათანაელმა აკურთხა საყდარი და პირველი საღვთო ლუტურგია აღავლინა სოფელ ზვინიაჩეს (უკრაინის ვოლინის ოლქის ლუცკის რაიონი) წმინდა ნიკოლოზის ტაძარში.

მ სოფელში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სამრევლო თავისი ტაძრის გარეშე 2019 წლის 10 მარტს დარჩა, როდესაც ის „გადაიყვანეს“ განხეთქილებაში მყოფი „მეუ“-ს ოურისდიქციაში. ზვინიაჩეს 60-ზე მეტმა მცხოვრებმა დაიმარხა გულსა შინა ერთგულება კანონიკური ეკლესიისა; ორი წელი ისინი ღვთისმსახურებაზე ძველ ქოხში იკრიბებოდნენ.

ახალნაკურთხ ტაძარში აღვლენილ ლიტურგიაზე მმართველ მაღალიერარქს თანამსახურებდნენ ოლქის კეთილმონესე დეკანოზი ვალერი პილიპჩუკი, ეპარქიის კანცელარიის გამგე არქიმანდრიტი პაისი (ხომიჩი), ტაძრის წინამძღვარი მღვდელი სერგი ბაჩინსკი, ეპარქიის კლირიკოსები და სტუმარი სამღვდელოება.

ღვთისმსახურებაზე გალობდა ადგილობრივი სამრევლოს მგალობელთა გუნდი და ლუცკის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურთა გუნდი პროტოდიაკონ მიქაელ აბრამჩუკის ხელმძღვანელობით.

მცირე შესვლისას მთავარეპისკოპოსმა ნათანაელმა ტაძრის წინამძღვარი დეკანოზის ხარისხში აიყვანა და მიტრის ტარების უფლება უბოძა, – იტყობინება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საინფორმაციო-საგანმანათლებლო განყოფილება ვოლინის ეპარქიის პრეს-სამსახურზე დაყრდნობით.

ღვთისმსახურებისას ისმოდა საგანგებო ლოცვა უკრაინის მიწაზე მშვიდობისა და მსოფლიო მართლმადიდებლობის ერთიანობისათვის. აღევლინა, ასევე, სნების განმფენი ქარის საწინააღმდეგო ლოცვები და კორონავირუსთან მებრძოლი მედიკოსებისთვის ჯანმრთელობის გამოსავედრებელი.

სსკვ-ს კომუნიკაციების სამსახური